

საკომუნიკაციო არხებისა და სტუდენტთა კონსულტირების

მექანიზმების გაუმჯობესება

თამთა მურადაშვილი

სოფიკო შარაბიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

თამთა მურადაშვილი

სოფიკო შარაბიძე

01.02.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომით წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში განხორციელებული კვლევა, რომელიც ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა განათლების სკოლაში საკომუნიკაციო არხებისა და სტუდენტთა კონსულტირების მექანიზმის გაუმჯობესება.

საკომუნიკაციო არხებისა და სტუდენტთა კონსულტირების პრობლემები კიდევ უფრო გამოიკვეთა ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში, რადგან დისტანციურ რეჟიმში სტუდენტებს განათლების სკოლის ადმინისტრაციაში მისვლისა და თანამშრომელთან საკითხების პირისპირ გარკვევის შესაძლებლობა შეეზღუდათ.

განათლების სკოლის თანამშრომლებისა და სტუდენტების წარმომადგენლობით, იდენტიფიცირდა პრობლემები ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით, საპასუხოდ განხორციელდა ინტერვენციები და დაიგეგმა რეკომენდაციები, რომელიც შეამცირებს სტუდენტთა მომართვიანობას ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და უზრუნველყოფს სტუდენტთა უკეთეს ინფორმირებულობას.

სტუდენტთა კონსულტირების ოპტიმიზაციის მიზნით, ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში სემესტრის მიმდინარე პერიოდში განხორციელდა ონლაინ ლაივ კონსულტაციები. სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმების შედგენის გასამარტივებლად ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ შემუშავდა მომდევნო სემესტრის სასწავლო გეგმები და განხორციელდა კონსულტაციები. ასევე ჩაიწერა

ვიდეო-ტუტორიალი, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმაში. საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციის სახით, შემუშავდა ვებ-გვერდის პროექტი, რომლის ფარგლებში გადალაგდება უკვე არსებული ინფორმაცია და დაემატება სტუდენტებისთვის საჭირო სხვა ველები.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: საკომუნიკაციო არხები, სტუდენტთა კონსულტირება, სასწავლო გეგმის შედგენა, ონლაინ კონსულტაცია, ვიდეო-ტუტორიალი, ვებ-გვერდი.

Abstract

This paper presents the action research, that was carried out at Ilia State University on a faculty of business, technologies, and education, in the framework of the Master program: Education Administration. The study aimed to improve the communication channels and student consulting mechanism/tools in the school of education.

Problems within communication channels and student consulting were further shown off by the spread of the new coronavirus, as students, in the framework of online studying, were restricted from having a face to face access to the administration of education school to solve important issues.

Some main problems were identified within information sharing issues, by the representatives of the education school staff and students. In response to these problems, some interventions were implemented and recommendations were elaborated, to reduce students addressing to administration staff and ensure better informational awareness for the students.

To optimize student consulting, within a program, online live consultations were implemented during the current semester. Learning plans for the future semester were conducted and the students were consulted, to be prepared for the new semester, by the administration representatives of the education school. A video tutorial was also recorded to help students better understand the structure of the program. To improve the communication channels, a website project was developed as a recommendation, within this recommendation, already existed information on the web site will be rearranged and other fields needed for the students will be added.

Keywords: Communication channels, student consulting, learning plan conducting, online consultation, video tutorial, website.